2019 წლის 8 ნოემბერს, ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ ეგიდით გაიმართა მორიგი სემინარი, რომელზეც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა თემურ ბრაგვაძემ წარმოადგინა მოხსენება თემაზე: **„ახალი აღმოჩენები ითხვისის ნაქალაქარზე.“**

ითხვისის ნაქალაქარი მდებარეობს ზემო იმერეთში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში. 2019 წელს აღმოჩნდა გვიანელინისტური ხანის ნაგებობა (ქ.წ. I-ქ.შ. I ს.), XII-XIII საუკუნეების ღვინის მარანი და VIII-VII საუკუმნეების ფენა. (ქ.წ. I-ქ.შ. I ს.). ნაგებობა შედგება ორი სათავსოსაგან. ისინი ნაგებია დამუშავებული ქვებით ჰიდრავლიკური ხსნარის გამოყენებით. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია მოხატული კერამიკისა და რკინის დანით. ზედა ფენა წარმოადგენს XII-XIII საუკუნეების მარანს და ასევე, შედგება მშრალი წყობით ნაგები ორი სათავსოსაგან. არქეოლოგიური მასალა შედგება ქვევრებისა და მოჭიქული სადა კერამიკისაგან.